პროექტი

საქართველოს კანონი

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N40 18.07.2005. მუხ.264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^6 მუხლი:

მუხლი 26^6. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესი

1. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გარეშე განხორციელებულ ექსპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევებზე, გამონაკლისი სახით შესაძლებელია ამ ნებართვის რეტროსპექტიულად გაცემა.
2. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის, მათ შორის მისი რეტროსპექტიულად გაცემის წესი, განისაზღვრება „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის VIII^1 თავით.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვარს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი